

# ი/მ გივი იოზიძე


ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის  
ექსპლოატაციის

(ქ. ქუთაისი, სულხან საბას მესამე ჩიხი №2)

## სკრინინგის განაცხადი


შემსრულებელი: შპს „სამნი+“

დირექტორი თ.კეპულაძე  
მობ.: 591 15 72 72



ი/მ გივი იოზიძე

პ/ნ 60003005492  
მობ.: 557957005



ქუთაისი 2022

## სარჩევი

1. შესავალი .....	3
2. დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები.....	4
3. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა. ....	4
4. ტექნოლოგიური პროცესი და ინფრასტრუქტურის ელემენტები.....	24
5. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საამქროს ფუნქციონირების პროცესში .....	28
5.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.....	28
5.2. ხმაურის ზემოქმედება .....	31
5.3. ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე .....	32
5.4. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე .....	32
5.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები.....	33
5.6. ზემოქმედება ბუნებრივ ლანდშაფტსა და ბიოლოგიურ გარემოზე.....	36
5.7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე....	36
5.8. ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე.....	38
5.9. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება .....	38
5.10. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.....	39
5.11. კუმულაციური ზემოქმედება .....	39
5.12. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება .....	42
და ნ ა რ თ ე ბ ი .....	43
დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ....	44
დანართი 2. იჯარის ხელშეკრულება.....	46
დანართი 3. მერიის წერილი.....	51
დანართი 4. პასუხები სააგენტოს N21/6346 წერილით გამოგზავნილ შენიშვნებზე .....	52

## 1. შესავალი

ი/მ გივი იობიძეს (პ/ნ 60003005492) ქ. ქუთაისში, სულხან საბას მესამე ჩიხის №2 -ში ფ/პ მერაბი ტყემელიაძისაგან (პ/ნ 21001006507) იჯარით აღებულ (დანართი 2) არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკად.კოდი 03.05.28.013) 944 მ² ფართობზე (დანართი 1) მოწყობილი აქვს ქვის სამსხვრევი დანადგარი და ახორციელებს მის ექსპლოატაციას.

აღნიშნული ტიპის ობიექტი წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 5.1 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. რადგან საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია უკვე დაწყებულია, ობიექტი შემოწმებული იქნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთ ცენტრალური სამმართველოს მიერ და სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე საქმიანობაზე კომპანიის მიმართ დაწყებული იქნა ადმინისტრაციული საქმის წარმოება (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი N073035).

აღნიშნულის გათვალისწინებით შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება, რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარდგენილი იქნა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.

სააგენტოს 2022 წლის 25 ოქტომბრის N21/6346 წერილით გამოგვეგზავნა შენიშვნები ცალკეული საკითხების დაზუსტების მიზნით, რომლის შესაბამისადაც მოხდა სკრინინგის განცხადების შესწორება. განაცხადი წარდგენილი იქნა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.

სააგენტოს N 21/7575, 08/12/2022. წერილით ისევ გამოგვეგზავნა შენიშვნები, რომლის შესაბამისადაც შესწორდა სკრინინგის განაცხადი.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1.


ქარხნის ოპერატორი კომპანია	ი/მ გივი იობიძე
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. ქუთაისი, გიორგი სააკაძის ქუჩა №59
საქმიანობის განხორციელების მისამართი	ქ. ქუთაისი, სულხან საბას მესამე ჩიხის №2
საქმიანობის სახე	ქვის სამსხვრევი-დამხარისხებელი საწარმო
საკონტაქტო ტელეფონი	5 57 95 70 05
ელფოსტა	G.iobidze58@gmail.com
საკონსულტაციო ფირმა	შპს „სამნი+“
პროექტის ხელმძღვანელი	თეიმურაზ კეკულაძე
საკონტაქტო ტელეფონი	591 157272

## 2. დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები

პროექტის განხორციელების ადგილი	ქუთაისი, სულხან საბას მესამე ჩიხის №2
ნაკვეთის საკადასტრო კოდი	03.05.28.013
საპროექტო წარმადობა	120 ტ ქვის მსხვრევა-დახარისხება
მეთოდი	სველი
სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში	80
საათების რაოდენობა დღე-ღამეში	1
გამოყენებული რესურსები	ტემენიტისა და კირქვის ქვის ნატეხები
თანამშრომლების რაოდენობა	2
დამორება უახლოესი დასახლებული ზონიდან	190 მ


## 3. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა.

ი/მ გივი იობიძის ქვის სამსხვრევდამხარისხებელი დანადგარი მოწყობილია ფ/პ მერაბი ტყემელიაძის მიწის ნაკვეთის (ნაკვ.კოდი 03.05.28.013, მისამართი: სულხან საბას მესამე ჩიხი N2) ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში (ნახაზი 3.1). ნაკვეთის საერთო ფართი შეადგენს 7 164 მ<sup>2</sup>. იჯარით აღებული ტერიტორიის ფართობი შეადგენს 944მ<sup>2</sup>.



ნახაზი 3.1


საერთო ნაკვეთის წვეროთა ნუმერაცია და კოორდინატები მოცემულია 3.2 ნახაზზე და 3.1 ცხრილში, ხოლო იჯარით აღებული 944მ<sup>2</sup> ტერიტორიის წვეროთა ნუმერაცია და კოორდინატები - 3.3 ნახაზზე და 3.2 ცხრილში.



ნახაზი 3.2

ცხრილი 3.1.

წერტილის ნომერი	GPS კოორდინატები	
	X	Y
1	307578	4679382
2	307572	4679335
3	307651	4679276
4	307678	4679316
5	307690	4679346
6	307651	4679349
7	307660	4679372
8	307604	4679377
9	307602	4679372



ცხრილი 3.2.

წერტილის ნომერი	GPS კოორდინატები	
	X	Y
1	307651	4679 349
2	307650	4679 328
3	307 678	4679 316
4	307 690	4679 346

განსახილველი საწარმო განთავსებულია სულხან საბას მე-3 ჩიხში, ინდუსტრიულ ზონაში (დანართი N3 მერიის N10-4422262448 წერილი.) არსებული ქვის დამამუშავებელი საწარმოს ეზოში. ტერიტორიას ირგვლივ ესაზღვრება ასარასოფლო-სამეურნეო (სამეწარმეო დანიშნულების) მიწის ნაკვეთები, რომელთა ნაწილი უფუნქციო და ამორტიზებულია.

ჩრდილოეთით მოსაზღვრე მიწის ნაკვეთები თავისუფალია, მასზე შემორჩენილია შენობების ნანგრევები (სურათი 3.1.). ჩრდილოეთით განთავსებულია სულხან-საბას მე-3 ჩიხი, გზის მეორე მხარეს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ტერიტორია და მეტალის ბაზა (სურათი 3.2. 3.3.).



სურათი 3.1.



სურათი 3.2.



სურათი 3.3.



დასავლეთით მდებარეობს საქმიანი ეზო, სადაც მოწყობილია ავტოშეკეთების ბოქსები (სურათი 3.4.), სულხან-საბას გამზირი, გზის მეორე მხარეს მდებარეობს სასაფლაო და ყოფილი ავანგარდის ქარხნის ტერიტორია (სურათი 3.5.). ყოფილი ავანგარდის ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ უახლოეს შენობაში მოწყობილია შპს „კავკასია-2007“-ის მეტალურგიული (თუჯისა და ფოლადის სხმულების) საწარმო.



სურათი 3.4.



სურათი 3.5.


სამხრეთით განთავსებულია ქვის ქარხნის კაპიტალური შენობა (სურათი 3.6.), შსს-ს მომსახურების ცენტრი (სურათი 3.7.), ტარების სასაწავლო მოედნები, რომლის შემდეგაც მდებარეობს დასახლებული პუნქტი (სურათი 3.8.).



სურათი 3.6.



სურათი 3.7.



სურათი 3.8.

აღმოსავლეთით განთავსებულია ყოფილი სამრეწველო საწარმოთა ნახევრად დანგრეული და უფუნქციო შენობები (სურათი 3.9. და 3.10).




სურათი 3.9.



სურათი 3.10.

იჯარით აღებული ტერიტორიიდან სულხან-საბას გამზირი დაშორებულია 170 მ-ით, უახლოესი საცხოვრებელი სახლი 210 მ-ით, ხოლო ტერიტორიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 190 მ-ის დაშორებით მდებარეობს საბავშვო ბაღი.

ტერიტორიის განთავსების სიტუაციური გეგმა მოცემულია ნახაზზე 3.4.



ნახაზი 3.4.

განსახილველი მიწის ნაკვეთის 500 მ-იანი რადიუსში სამხრეთით 190 მ-ში და ჩრდილო-დასავლეთით 350 მ-ში მდებარეობს საცხოვრებელი ზონა, სამხრეთ დასავლეთით ავანგარდის სასაფლაოები. დანარჩენი მიმართულებით განთავსებულია მოქმედი და უმოქმედო საწარმოო ობიექტები. 500 მ-იან რადიუსში არსებული ობიექტები მოცემულია ნახაზზე 3.5.



ნახაზი 3.5. 500 მეტრიანი ზონა

500 მეტრიან რადიუსში არსებული მიწის ნაკვეთები და ობიექტები მოცემულია ნახაზზე 3.6. ხოლო ინფორმაცია ობიექტების შესახებ ცხრილში 3.3.



ნახაზი 3.6.




ცხრილი 3.3.



N	კოდი	მფლობელი	დანიშნულება	ფოტოსურათი
1	03.05.28.576	შპს სტილ საქართველო	ლითონის ბაზა	-
2	03.05.01.978	ბორისი დარახველიძე	სახლი	-
3	03.05.28.577	შპს სტილ საქართველო	ლითონის ბაზა	
4	03.05.24.526	შპს სტილ საქართველო	ლითონის ბაზა	-
5	03.05.28.559	რეგისტრაცია ბათილია	მექანიზაცია	-
6	03.05.24.682	შპს სპექტრი 90-07	ავტოსახელოსნოები	
7	03.05.28.555	შპს სტილ საქართველო	ლითონის ბაზა	

8	03.05.28.554	შპს ტერმინალი 2007	უფუნქციო შენობა	
9	03.05.28.196	ს/ს თიბისი ბანკი	უფუნქციო ქვის სახერხი	
10	03.05.24.912	წინო ნუგუბიძე	მეორადი ავტომობილების სარემონტო	






11	03.05.24.221	შპს "იბერკომპანი"	აგს	
12	03.05.24.911	შპს ჯი არ სი	ლითონის ბაზა	
13	03.05.24.300	შპს გაერთიანებული წყალმომარეგების კომპანია	ტექნიკის მომსახურების ბაზა	
14	03.05.24.301	შპს გაერთიანებული წყალმომარეგების კომპანია	ტექნიკის მომსახურების ბაზა	

15	03.05.24.460	შპს დი თი	ავეჯის საწარმო	
16	03.05.27.325	ზაალი ცხვედიანი	დანგრეული შენობა	
17	03.05.01.907	დავით შეყილაძე	დანგრეული შენობა	-
18	03.05.01.943	შპს მაიპისი	მარკეტი	

19	03.05.01.946	შპს კავკასია 2007	თუჯის სხმულების საამქრო	
20	03.05.28.118	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	თავისუფალი ტერიტორია	-
21	03.05.01.552	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	თავისუფალი ტერიტორია	
22	03.05.01.529	შპს ყველაფერი ოჯახისათვის	ავტოსახელოსნო	
23	03.05.01.536	შპს ყველაფერი ოჯახისათვის	ავტოსახელოსნო	-
24	03.05.28.532	შპს ყველაფერი ოჯახისათვის	ავტოსახელოსნო	-

25	03.05.28.013	მერაბი ტყეშელიაძე	ქვის სახერი	
26	03.05.28.012	შპს ფიგარო	თავისუფალი ტერიტორია	-
27	03.05.24.776	აქტივებისა მართვისა და განვითარების კომპანია	ამორტიზებული შენობა	-
28	03.05.24.777	ამანგელდი გაბუნია	ყოფილი თაბაშირის საწარმო	-
29	03.05.24.056	ფრიდონი ბარათაშვილი	ტექდათვალიერების სადგური	-
30	03.05.24.057	ფრიდონი ბარათაშვილი	ფრიდონი ბარათაშვილი	-
31	03.05.28.088	სახელმწიფო	ყოფილი ქვის საამქრო(უფუნქციო)	
32	03.05.24.185	გაზ-ენერჯი	უფუნქციო	-
33	03.05.28.089	სახელმწიფო	უფუნქციო შენობები	

34	03.05.28.769	ტექნიკური კლუბი ოქროს საწმისი 91		-
35	03.05.28.003	ქუთაისის მუნიციპალიტეტი	მომსახურების სააგენტო	
36	03.05.28.108	შპს ბენ-2020		-
37	03.05.28.129	შპს კულინარი		-
38	03.05.04.021	მამია გოგლიჩიძე		-
39	03.05.28.023	გულადი ზივზივაძე		-
40	03.05.24.624	გიორგი შაშიაშვილი		-
41	არარეგისტრირებული	ამორტიზებული შენობები		-
42	საცხოვრებელი მასივი			-
43	საცხოვრებელი მასივი			

44	საპროექტო ტერიტორია	ქვის სამსხვრევი		
45	03.05.21.190	სახელმწიფო	მაშველის არხი	

საწარმოში ტემენიტის ნედლეულის შემოტანა ძირითადად გთვალისწინებულია არსებული ქვის ქარხნიდან. სამსხვრევზე შესაძლებელია კირქვის ღორღის წარმოებაც. კირქვა შემოიზიდება სულხან-საბას გამზირის გავლით. პროდუქციის რეალიზება ძირითადად გათვალისწინებულია განსახილველი ობიექტის დასავლეთით არსებული სასაფლაოების ტერიტორიაზე. შესაძლებელია ასევე სხვა მიმართულებითაც გადაზიდვა, რომელიც განხორციელოდება სულხან-საბას გამზირის გავლით.

ნედლეულისა და პროდუქციის ტანსპორტირების სქემა მოცემულია ნახაზზე 3.7.



ნახაზი 3.7.

#### 4. ტექნოლოგიური პროცესი და ინფრასტრუქტურის ელემენტები


ქვის მსხვრევა დაგეგმილია უმარტივესი მეთოდისა და ტექნოლოგიური დანადგარების გამოყენებით, რომლებიც უკვე დამონტაჟებულია.

ნედლეული შემოიზიდება უახლოესი ქვის დამამუშავებელი საწარმოებიდან, მათ შორის ტერიტორიის გვერდით არსებული ობიექტიდან.

ნედლეულად გამოყებული იქნება მცირე ზომის ტემენიტისა ქვები ან/და ხერხვის დროს მიღებული მცირე ზომის ნატეხები. საწარმოში შესაძლებელია კირქვის ღორღის მიღებაც. კირქვის ნედლეულის შესყიდვა მოხდება ლიცენზირებული კარიერებიდან. საწარმოს საპროექტო წარმადობა შეადგენს 120 ტ. ქვის მსხვრევა, აქედან 20 ტონა შესაძლებელია იყოს კირქვა.

ქვის მსხვრევისა და დახარისხებისათვის გამოყენებული იქნება შემდეგი დანადგარები (ნახაზი 4.2 და სურათი 4.1):

1. ყბებიანი მსხვრევანა;
2. დამხარისხებელი მბრუნავი ცხავი,
3. პროდუქციის ბაქნები;



სურათი 4.1.

ტექნოლოგიური პროცესი შემდეგია:

ნედლეული იყრება ყბებიანი სამსხვრევის წინ განთავსებულ ბუნკერში, რომლიდანაც მიეწოდება სამსხვრევს. სამსხვრევის თავზე მოწყობილია წყლის გამშხეფი, რომლითაც ხდება დასამტვრევი ქვის დანამვა.



სამსხვრევიდან დამტვრეული ქვა ლითონის ღარით მიეწოდება ცილინდრულ მბრუნავ საცერს. საცერთან მოწყობილია ლითონის ღარი, რომელშიც წვრილმარცვლოვან ღორღთან ერთად ჩაედინება ქვის დანამვის შედეგად წარმოქმნილი გამონაჟონი წყალი. ღარი მიმართულია ორმოში, რომელშიც გროვდება სველი ღორღი.

საცერი შედგება 3 სხვადასხვა ზომის ცხურისაგან, პირველად დამაგრებულია 5 მმ-იანი ზომის ცხური, შუაში 15 მმ-იანი, ბოლოს 30 მმ-იანი. დამსხვრეული ქვის საცერში გავლის დროს საცერი ბრუნავს დაბალი სიჩქარით, პირველი განყოფილებიდან გამოიყოფა 0-5 მმ-იანი ფრაქცია; მეორედან 5-15 მმ-იანი, მესამედან 15-30(40) მმ-იანი. უფრო მსხვილი ნატეხი ჩამოიყრება საცერის ბოლოდან ტრანსპორტიორზე და იყრება მსხვილი ფრაქციის ორმოში.




სურათი 4.2.

ფრაქციებად გამოყოფილი ღორღი გროვდება მბრუნავი საცერის ქვეშ მოწყობილ შესაბამისი ფრაქციის ხარობებში, საიდანაც მოთხოვნილების შესაბამისად ფასოვდება ტომრებში, ან გაიტანება ნაყარის სახით.

ტექნოლოგიური პროცესების სქემა მოცემულია ნახაზზე 4.1, საწარმოს ტექნოლოგიური დანადგარების სქემა მოცემულია გენ-გეგმაზე (ნახაზი 4.2.), ხოლო ტექნოლოგიური დანადგარების პარამეტრები ცხრილში 4.1.

ტექნოლოგიური პროცესის სქემა




ნახაზი 4.1

ცხრილი 4.1.

დანადგარის დასახელება	ტიპი	მახასიათებლები
სამსხვრევი	ყბებიანი ДШ	მიმღები ყელი -350×250; სიმძლავრე: მაქს. 15 ტ/სთ, მინ. 1,5 ტ/სთ; ძრავი 22 კვტ/სთ. 1000 ზრ.
საცერი	ცილინდრული	დიამეტრი -900 მმ, სიგრძე 6 მ. ძრავი 3 კვ/სთ;
ტრანსპორტიორი	ლენტური	სიგრძე 6 მ. სიგანე 0,4 მ. ძრავი 1,5 კვ/სთ.

## ნახაზი 4.2. გენ-გეგმა



## 5. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საამქროს ფუნქციონირების პროცესში


გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება განხილულია შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობაზე შესაძლო ზემოქმედება; ხმაურის გავრცელება; ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მოსალოდნელი დაზიანება; ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედება და სხვა.

### 5.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

ქვის (ტეშენიტისა და კირქვის) მსხვრევისა და დახარისხების პროცესში ატმოსფეროში გამოიყოფა არაორგანული მტვერი  $\text{SiO}_2$ -ის 20% -მდე შემცველობით. მტვერის გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროს წარმოადგენს ყველა ტექნოლოგიური პროცესი და დანადგარი:

- ყბებიანი მსხვრევანა (გ-1 წყარო);
- ღორღის ჩაყრა მბრუნავ საცერში (გ-2 წყარო)
- გაფრქვევა მბრუნავი საცერიდან ჩამოცლისას (გ-3 წყარო)
- ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება (გ-4 წყარო);

ტექნოლოგიური პროცესების დროს მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროები მოცემულია ნახაზზე N5.1



ნახაზი 5.1. გაფრქვევის წყაროები.

• გაფრქვევის ანგარიში ყბებიანი სამსხვრეველადან (გ1)

ნორმატიული დოკუმენტაციის თანახმად მტვრის ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი პირველადი სველი მსხვრევისას შეადგენს 0,009კვ/ტ.

წელიწადში ნავარაუდები 120 ტ ქვის მსხვრევის გათვალისწინებით, მტვრის წლიური და წამური ინტენსიობა იქნება:

$$G=120 \times 0,009 / 1000 = 0,0011 \text{ ტ/წელ.}$$

$$M=0,0011 \times 10^6 / 80 \times 3600 = 0,0038 \text{ გ/წმ.}$$

• გაფრქვევა მბრუნავ საცერში მიწოდებისას (გ-2 წყარო)

გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ.}} = K1 \times K2 \times K3 \times K4 \times K5 \times K7 \times K9 \times G \times B \times 10^6 / 3600 \text{ გ/წმ, (5.1)}$$

სადაც

K1 - მასალაში მტვრის ფრაქციის წილია;

K2 - მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილია;

K3 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K4 - გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K5 - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;  
 K7 - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;  
 K9 - შემასწორებელი კოეფიციენტი; ავტოვითმცლელიდან 10 ტონამდე წონის მასალის ზალპური ჩამოცლისას აიღება 0,2 , 10ტ\_ზე მეტის შემთხვევაში აიღება 0,1 . სხვა შემთხვევაში იგი აიღება 1-ს ტოლი.

B - გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტი;

G - წარმადობა, =0,1 ტ/სთ;

აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები საწარმოს კონკრეტული პირობებისათვის აიღება მეთოდიკებში მოცემული დანართებიდან.

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$K_1 - 0,02$  ;  $K_2 - 0,04$  ;  $K_3 - 1,2$  ;  $K_4 - 1,0$  ;  $K_5 - 0,7$  ;  $K_7 - 0,4$  ;  $K_9 - 1$  ;  $B - 0,4$  ;  $G - 1,5$  ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{ატვ} = 0,02 \times 0,04 \times 1,2 \times 1,0 \times 0,7 \times 0,4 \times 1,0 \times 0,4 \times 1,5 \times 10^6 / 3600 = 0,0448 \text{ გ/წმ}$$

$$G_{ატვ} = 0,0448 \times 80 \times 3600 / 10^6 = 0,0129 \text{ ტ/წ}$$

- **გაფრქვევა მბრუნავი საცერიდან ჩამოცლისას (გ-3 წყარო)**

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$K_1 - 0,02$  ;  $K_2 - 0,04$  ;  $K_3 - 1,2$  ;  $K_4 - 1,0$  ;  $K_5 - 0,1$  ;  $K_7 - 0,6$  ;  $K_9 - 1$  ;  $B - 0,4$  ;  $G - 1,5$  ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{ატვ} = 0,02 \times 0,04 \times 1,2 \times 1,0 \times 0,1 \times 0,6 \times 1,0 \times 0,4 \times 0,1 \times 10^6 / 3600 = 0,0006 \text{ გ/წმ}$$

$$G_{ატვ} = 0,0006 \times 80 \times 3600 / 10^6 = 0,0002 \text{ ტ/წ}$$

- **გაფრქვევის ანგარიში ლენტური ტრანსპორტიორებით გადაადგილებისას. (გ-4)**

მასალების ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას მტვრის გაფრქვევები იანგარიშება ფორმულით:

$$M_{ატვ} = W \times K \times B \times L \times 10^3 \text{ გ/წმ};$$

სადაც

W – ჰაერის შებერვით გამოწვეული მტვრის ხვედრითი გაფრქვევა და ტოლია  $3 \times 10^{-5}$  კგ/მ<sup>2</sup>წმ;

K \_ ნედლეულის დაქუცმაცების კოეფიციენტი და ტოლია 0,1 მ-ის;

B \_ ლენტის სიგანეა და ტოლია 0,4მ-ის

L \_ ლენტის ჯამური სიგრძეა და ტოლია 4 მ;

სათანადო მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{ატვ} = 3 \times 10^{-5} \times 0,1 \times 0,4 \times 4 \times 10^3 = 0,0048 \text{ გ/წმ}$$

$$G_{ატვ} = 0,0048 \times 80 \times 3600 / 10^6 = 0,0014 \text{ ტ/წელ};$$

ანგარიშიდან ჩანს, რომ საწარმოს ტექნოლოგიური პროცესებიდან ჯამურად გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა - არაორგანული მტვრის ინტენსივობა შეადგენს 0,054 გ/წმ, ხოლო წლის განმავლობაში 0,0156 ტ/წელ. ცალკეული წყაროებიდან გაფრქვევების ანგარიშისა და მონაცემების შეჯამებით ნათლად ჩანს, რომ გამოყოფილი მტვრის რაოდენობამ არ შეიძლება გადააჭარბოს ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციას როგორც უშუალო საწარმოს ტერიტორიაზე, ისე უახლოეს მოსახლესთან და საბავშვო ბაღთან.

## 5.2. ხმაურის ზემოქმედება

დანადგარის მუშაობის პროცესს თან დევს ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე. ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წყაროს წარმოადგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები (სამსხვრევი და მბრუნავი საცერი).

განსახილველი ობიექტიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს სამხრეთით, უახლოესი საანგარიშო ობიექტია საბავშვო ბაღი, რომელიც დაშორებულია 190 მ-ით. მასზე ვრცელდება საქართველოს მთავრობის N398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით განაშენიანების ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს (სართულების რაოდენობა >6), კულტურულ, საგანმათლებლო, ადმინისტრაციულ და სამეცნიერო დაწესებულებებს, დასაშვები ნორმები დღისით შეადგენს 55 დბა.

ლიტერატურული მონაცემებით, დანადგარის მუშაობის პროცესში ხმაურის დონე შეადგენს 95 დბა-ს.

საანგარიშო წერტილში ბგერითი წნევის ოქტავური დონეები იანგარიშება ფორმულით:

$$L = L_p - 15lgr + 10lg \Phi - \beta r / 1000 - 10lg \Omega, \text{ დბა}$$

სადაც,

$L_p$  – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე; გამოყენებული მანქანა დანადგარების სიმძლავრეთა გათვალისწინებით იგი ტოლია 95 დბა.

$\Phi$  – ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

$r$  – მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე;

$\Omega$  – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება:  $\Omega = 4\pi$  – სივრცეში განთავსებისას;  $\Omega = 2\pi$  – ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას;  $\Omega = \pi$  – ორ წიბოიან კუთხეში;  $\Omega = \pi / 2$  – სამ წიბოიან კუთხეში;

$\beta$  – ატმოსფეროში ბგერის მილევადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

გაანგარიშება ჩატარდა 190 მ-ით დაცილებული საბავშვო ბაღის მიმართ.

შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$L = 95 - 15lg190 + 10lg2 - 10,5 \times 190/1000 - 10lg12,56 = 32,86 \text{ დბა.}$$

როგორც გაანგარიშებიდან ჩანს ობიექტის ხმაურის დონე უახლოეს საბავშვო ბაღთან ვერ მიაღწევს, ამასთან საწარმოს განთავსების ტერიტორიასა და დასახლებულ პუნქტს შორის განთავსებულია კაპიტალური შენობა ნაგებობები. ლიტერატურული მონაცემებით (Борьба с шумом на производстве. Справочник. Е. Юдин. М. 1985. გვერდი 173; 224) ღია გარემოში კაპიტალური კედლის ეფექტურობა შეადგენს 15 დბ (A). ამისის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სამსხვრევის მუშაობისას წარმოქმნილი ხმაური უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს საბავშვო ბაღზე.

მომუშავეებზე ხმაურის გავლენის შესამცირებლად, საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება სმენის დამცავი ინდივიდუალური საშუალებები.

### **5.3. ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე**

საქმიანობის განხორციელებისათვის შერჩეული ტერიტორია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა, წლების განმავლობაში გამოიყენება სამეწარმეო დანიშნულებით. ტერიტორია მოშანდაკებულია, რის გამოც ზემოქმედება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელი არ არის.

### **5.4. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე**

საწარმოში წყალი გამოიყენება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო მიზნისათვის და ნედლეულის (ქვის) დასანამად. სასმელი წყალი (ბოთლებში ჩამოსხმული) შეძენილი იქნება უახლოესი მარკეტებიდან. სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული იქნება მეიჯარის საყოფაცხოვრებო სათავსო, რომლის წყალმომარაგება/წყალარინება ხდება ქალაქის წყალსადენ/კანალიზაციის ქსელებიდან.

როგოც აღინიშნა, საწარმოში ყებებიან სამსხვრევზე მიწოდებამდე ხდება ნედლეულის დანამვა, გამშხევის საშუალებით. წყალაღება ხდება მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭიდან, რომელზედაც აღებულია წიაღისეულობის ლიცენზია (N1003570; 28/04/2016წ). დასანამად ხდება წყლის მცირე რაოდენობის დამატება, ისე, რომ არ მოხდეს მსხვრევის დროს ამტვერება და ჩამდინარე წყალი არ წარმოიქმნას.

ნედლეულის დანამვის შედეგად შესაძლებელია წარმოიქმნას მცირე გამონაჟონი, რომელიც საცერის დასაწყისშივე მოხვდება ლითონის ღარზე და სველ ღორღთან ერთად გროვდება ორმოში.

სამუშაო გამოცდილებით, გამონაჟონი წყალი იმდენად მცირეა, რომ ორმოში წყალი არ დგება (სურათი 5.1.). ღორღის ორმოდან ამოღება პერიოდულად ხდება ავტოდამტვირთველის ციცხვით.





სურათი 5.1.

საქმიანობის გამოცდილებით 1 ტონა ქვის დამსხვრევის დროს დასანამად გამოიყენება 5 ლ-მდე წყალი. დაგეგმილი წარმადობით წლის განმავლობაში საჭირო წყლის რაოდენობა იქნება  $120 \times 5 \times 10^{-3} = 0,6 \text{ მ}^3/\text{წელ}$ .

წლიურად საჭირო წყლის რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ რაიმე გავლენას ვერ მოახდენს მიწისქვეშა ჰორიზონტის მდგომარეობაზე.

საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება. საყოფაცხოვრებო დანიშნულებით თანამშრომლები იყენებენ მეიჯარის საყოფაცხოვრებო შენობას, რომელიც მიერთებულია ქალაქის საკანალიზაციო ქსელზე.

ზედაპირული წყლის დაბინძურება მოსალოდნელია საწარმოში ნარჩენების არასწორი მართვისა და ავტოტრანსპორტიდან ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის შემთხვევაში. საწარმოში უზრუნველყოფილი იქნება ტერიტორიის დაცვა ნარჩენებითა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებისაგან, რაც გამორიცხავს ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედებას.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საწარმოს გავლენა ზედაპირულ წყლის რესურსებზე იმდენად უმნიშვნელოა, შეიძლება ნულის ტოლად ჩაითვალოს.

## 5.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

ტექნოლოგიური პროცესის დროს გამოყენებული ნედლეული მთლიანად, უნარჩენოდ გადადის პროდუქციაში, ამდენად ობიექტზე საწარმოო ნარჩენის წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

თანამშრომლები სარგებლობენ მეიჯარის საყოფაცხოვრებო სათავსოთი, რომელსაც საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაცემაზე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ააიპ ქუთაისის სპეციალურ სერვისებთან..

საწარმოს ექსპლუატაციის დროს ცალკეული მოწყობილობის რემონტისა და შეკეთების შედეგად შესაძლებელია მცირე რაოდენობის სხვადასხვა ნარჩენის: ლითონის ჯართის, სპეცტანსაცმელის, ასევე ზეთით დაბინძურებული მასალების წარმოქმნა. რომელთა მართვა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად მოსალოდნელი ნარჩენების რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ მათი სათანადოდ მართვის შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენებისა და მათი შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 5.1.

ცხრილი 5.1.

N	ნარჩნის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	სახიფათოობის მახასიათებელი	განთავსების/ ალდგნის ოპერაციები	სავარაუდო რაოდენობა წელიწარში	შემდგომი მართვა
1	15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრის ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია საშიში ქიმიური ნივთიერებებით	დიახ	H15	D10	1 კგ	შეგროვდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. ტრანსპორტირებისთვის გადაეცემა შპს „ეკო სერვის ჯორჯიას“ ს/კ: 405123566; ნარჩენების შემგროვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ნომერი: 3286901274. ხოლო საბოლოო დამუშავების მიზნით შპს „მედიკალ ტექნოლოგს“ ს/კ: 404384590; ნებართვა: “ბრძანება N-1037” 30.12.2015
2	15 02 03	აბსორბენტები, ფილტრის მასალები, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც არ გვხვდება 15 02 02 პუნქტში	არა	-	D1	5 კგ	განთავსდება მყარი ნარჩენების კომპანიის ნაგავსაყრელზე
3	16 01 17	შავი ლითონი	არა	-	R4	100 კგ	ჩაბარდება ჯართის მიმღებ პუნქტებს

### **5.6. ზემოქმედება ბუნებრივ ლანდშაფტსა და ბიოლოგიურ გარემოზე**

საწარმოს ლანდშაფტის სახეცვლილება არ მოუხდენია, რადგან იგი მოწყობილია არსებული საწარმოს ტერიტორიაზე, წლების წინ სახეცვლილ გარემოში. საწარმოს ტერიტორია ცენტრალური გზიდან და დასახლებული პუნქტიდან არ ჩანს, შესაბამისად მგრძნობიარე რეცეპტორებისთვის შეუმჩნეველია.

ტექნოლოგიური დანადგარის განთავსება მოხდა მოქმედი ობიექტის თავისუფალ ტერიტორიაზე, შესაბამისად ბიომრავალფეროვნებაზე დამატებით უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს.


საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მნიშვნელოვანი ანთროპოგენული დატვირთვის მქონე ურბანულ ტერიტორიაზე, შესაბამისად აქ არ შეინიშნება ცხოველთა მრავალფეროვნება და გამორიცხულია მათზე უარყოფითი გავლენა.

### **5.7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე**

საწარმოს 500 მეტრის რადიუსის ზონაში დაცული ტერიტორია და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები განთავსებული არ არის. უახლოესი დაცული ტერიტორია საწარმოდან დაშორებულია 6 კმ-ზე მეტი მანძილით, უახლოესი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი (თეთრი ხიდი) 3 800 მ-ზე მეტი მანძილით (ნახაზი 5.2.)

საწარმოს მცირე წარმადობისა და დაგეგმილი ტექნოლოგიური პროცესების შესაბამისად საწარმოს გარემოზე ზემოქმედება არ გასცდება დაკავებულ ტერიტორიას, შესაბამისად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და დაცულ ტერიტორიებზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს.

ნახაზი 5.2.



## 5.8. ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე

საწარმოს მაქსიმალური წარმადობა იქნება 120 ტ. ქვის მსხვრევა, აქედან 100 ტონა ტემენიტის ქვა შემოიზიდება არსებული ქვის ქარხნიდან, შიდა ტრანსპორტირებით, ავტოდამტვირთველით პირდაპირ მიეწოდება სამსხვრევს. წელიწადში შესაძლებელია 20 ტონა კირქვის ქვის მსხვრევა, რომელიც შემოიზიდება სატვირთო ავტოთვითმცლელით. 20 ტონა კირქვის ტრანსპორტირებას დასჭირდება წელიწადში 2 გადაზიდვა. ამდენად ნედლეულის გადაზიდვა სატრანსპორტო ნაკადების მომატებას არ გამოიწვევს.

რაც შეეხება პროდუქციის ტრანსპორტირებას, მისი რეალიზება ძირითადად გათვალისწინებულია ობიექტის მიმდებარედ არსებული სასაფლაოების მოპირკეთებისათვის. ტერიტორიიდან გატანა უმეტესწილად მოხდება მცირე ტვირთამწეობის ტრანსპორტით. საპროექტო წარმადობის გათვალისწინებით, თუ ერთი მანქანის ტვირთამწეობა იქნება 2 ტონა, მოსაღებელი გადაზიდვების მთლიანი რაოდენობა შეადგენს 60 რეისს წელიწადში. ტრანსპორტირება მოხდება სულხან-საბას გამზირის გავლით. სულხან-საბას გამზირზე ორგანიზებულია ორზოლიანი მოძრაობა (გამყოფი ზოლით), შესაბამისად წელიწადში 60 გადაზიდვა სატრანსპორტო ნაკადებზე გავლენას ვერ მოახდენს, ამასთან გადაზიდვების 80 % მიმართული იქნება დასავლეთით არსებული სასაფლაოების ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სატრანსპორტო ნაკადების ინტენსივობაზე ზემოქმედება იმდენად დაბალი იქნება, შეიძლება ნულის ტოლად ჩაითვალოს.

## 5.9. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

ნებისმიერი საწარმოს და სამუშაო ადგილის შექმნას დადებით წვლილი შეაქვს სოციალური პირობების გაუმჯობესებაში. საწარმოში დასაქმებულია 2 ადამიანი, დასაქმებაზე და სოციალურ მდგომარეობაზე ზემოქმედება იქნება დაბალი.

თუმცა საწარმოს საქმიანობა ზრდის მისაწვდომობას სამშენებლო მასალებზე (ღორღი). საწარმოდან 190 მ-ში განთავსებულია ქალაქის სასაფლაოები, სადაც საწარმოს პროდუქცია გამოიყენება საფლაოების მოწყობა-მოსაპირკეთებლად. შესაბამისად მისი ფუნქციონირება დადებითად აისახება.

ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად მეწარმე სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

ამასთან საამქრო ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსის მთლიანად, უნარჩენოდ გამოყენებას, რაც შეამცირებს გარემოზე უარყოფით გავლენას.

## 5.10. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის.

დაწესებული რეგლამენტის დარღვევის (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების ან/და დანადგარების არასწორი მართვა), აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციის შემთხვევაში, შესაძლებელია როგორც არაპირდაპირი, ისე მეორადი უარყოფითი ზემოქმედება, სახიფათო შედეგებით. აღნიშნულის პრევენციის მიზნით გათვალისწინებული იქნება შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის მოთხოვნების ზედმიწევნით დაცვა.

## 5.11. კუმულაციური ზემოქმედება

საწარმო მდებარეობს ანთროპოგენური დატვირთვის მქონე სამრეწველო ზონაში, სადაც ფუნქციონირებს ქვის სახერხი საწარმო. ამის გათვალისწინებით განიხილება კუმულაციური ზემოქმედება.

განსახილველი საწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე კუმულაციური ეფექტი შესაძლებელია განხილული იყოს შემდეგი მიმართულებებით:

- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიები;
- ხმაურის გავრცელება

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიებით კუმულაციური ეფექტი მოსალოდნელია განსახილველი ობიექტის მიმდებარედ არსებული ქვის სახერხი საწარმოსთან.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 იანვრის N17 დადგენილებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N42 დადგენილებაში შეტანილი ცვლილების თანახმად (4.1 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი ), ობიექტები, რომლებშიც ქვის დამუშავება ხორციელდება სველი მთოდით, არ ექვემდებარება ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შემუშავებას. აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველი ქვის სამსხვრევი ხაზის ფუნქციონირების პროცესი სველია, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მიწისპირა კონცენტრაციების ნორმირებულ მაჩვენებლებზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ იქნება.

მიმდებარედ არსებული ქვის სახერხი საამქროს ტექნოლოგიური დანადგარები მთლიანად განთავსებულია კაპიტალურ შენობებში, აღნიშნული კაპიტალური შენობა დგას დასახლებული ზონის მიმართულებით. მთლიანი ტერიტორია შემოღობილია კაპიტალური ღობით (სურათი 5.2.), ასევე შემოღობილია დასახლებული პუნქტის მიმართულებით არსებული ობიექტები (სურათი 5.3.), რაც ამცირებს გარემოზე ხმაურით გამოწვეულ კუმულაციურ ეფექტს.

საწარმოს ტერიტორიასა და დასახლებულ პუნქტებს შორის განთავსებულია არაერთი ხელოვნური ბარიერი (ღობეები, შენობა-ნაგებობები), ხე-მცენარეების ზოლი. საცხოვრებელი სახლების კედლები ბეტონისაა (ნახაზი 5.3. ).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საწარმოდან გამოწვეული ხმაურის კუმულაციური ეფექტი იქნება ძალიან დაბალი.



სურათი 5.2.



სურათი 5.2.





ნახაზი 5.3.

## 5.12. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება

საწარმოს ტიპის, წარმადობის, გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეობისა და მასშტაბის, ასევე მისი განთავსების ტერიტორიის გათვალისწინებით, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

# დანართები

# დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.



მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 03.05.28.013**

## ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 892021084860 - 17/12/2021 14:44:10

მომზადების თარიღი  
27/12/2021 11:37:55

### საკუთრების განყოფილება

მონა ქუთაისი	სექტორი ვაკისუბანი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გიპი: საკუთრება
<b>03</b>	<b>05</b>	<b>28</b>	<b>013</b>	ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 7164.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: <b>03.05.24.775</b> ; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობები N1 - 1227.96 კვ.მ.; N2 - 147.32 კვ.მ.; N3 - 42.54 კვ.მ.; N4 - 22.06 კვ.მ.; N5 - 6.79 კვ.მ.; N6 - 6.75 კვ.მ.; N7 - 4.13 კვ.მ.

მისამართი: ქალაქი ქუთაისი, გამზირი სულხან-საბა, ჩიხი III, N 2, (ნაკვ. N1)

### მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882015695837 , თარიღი 07/12/2015 13:48:34  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 11/12/2015

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზაციისას ნასყიდობის ხელშეკრულება N 2015101357769 უ.უ. , დამოწმების თარიღი: 07/12/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:

მერაბი გყეშელიაძე , P/N: 21001006507

მესაკუთრე:

მერაბი გყეშელიაძე

აღწერა:

### იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882017148795** თარიღი **28/02/2017** **12:27:44**

იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი" 204378869;  
მესაკუთრე: მერაბი გყეშელიაძე P/N: 21001006507;

საგანი: დაზუსტებული ფართობი: 7164.00 კვ.მ.; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობები N1 - 1227.96 კვ.მ.; N2 - 147.32 კვ.მ.; N3 - 42.54 კვ.მ.; N4 - 22.06 კვ.მ.; N5 - 6.79 კვ.მ.; N6 - 6.75 კვ.მ.; N7 - 4.13 კვ.მ. ;

უფლების რეგისტრაცია: თარიღი **06/03/2017**

იპოთეკის ხელშეკრულება #CAH000204520, დამოწმების თარიღი **28/02/2017**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. <http://public.reestri.gov.ge>

გვერდი: 1(2)

---

## ვალდებულება

ყალბა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

---

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვალთ საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქციის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომლევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვალაში წარუდგენს ლეკარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- ლოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ გერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექსიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში ლაგვიკავშირით: 2 405405 ან პირადად შეაგვთ განაცხადი ვებ გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში ლაგვიკავშირით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან ლაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)

## დანართი 2. იჯარის ხელშეკრულება.

### იჯარის ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2021 წლის 15 დეკემბერს შემდეგ მხარეებს შორის:

1. ი.მ. გივი იობიძე პ.ნ 60003005492; იურიდიული მისამართი: ქალაქი ქუთაისი, საქართველო, ქალაქი ქუთაისი, გიორგი სააკაძის ქუჩა, N 59, სახით შემდგომში „მოიჯარე“-დ წოდებული.

2. ფიზიკური პირი მერაბი ტყეშელიაძე, პირადი ნომერი 21001006507, საცხოვრებელი მისამართი: თერჯოლა ს. კვახჩიანი, შემდგომში „მეიჯარე“-დ წოდებული.

მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებაზე (შემდგომში ხელშეკრულებად წოდებული) ხელის მოწერით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მეიჯარე“ „მოიჯარე“-ს დროებით სარგებლობაში გადასცემს „მეიჯარე“-ს საკუთრებაში არსებულ ქონებას, რომელიც შემდგომში მოიხსენიება, როგორც „იჯარის საგანი“; ხოლო „მოიჯარე“, „იჯარის საგნის“ სარგებლობისათვის „მეიჯარე“-ს ქირის სახით გადაუხდის ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრულ თანხას;

1.2. „იჯარის საგანი“ წარმოადგენს უძრავი ქონების ნაწილი, მდებარე მისამართზე ქ. ქუთაისი, სულხან საბას მე-3 ჩიხი N2 (საკადასტრო კოდი N03.05.28.013) განთავსებული - შენობა-ნაკეთობები N2 და N7, და მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი კოორდინატებით:

1.X=307651 Y=4679349;

2. X=307650 Y=4679328;

3. X=307678 Y=4679315;

4. X=307690 Y=4679346.

სულ ფართი 944 კვ.მ.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. „მოიჯარე“-ს უფლება აქვს:

2.1.1. მიიღოს „იჯარის საგანი“ თავის მფლობელობაში და ისარგებლოს „იჯარის საგნით“ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

2.1.2. მოითხოვოს „მეიჯარე“-საგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

2.1.3. მოახდინოს „იჯარის საგნის“ დაცვა;

2.1.4. „მეიჯარე“-სთან შეთანხმების გარეშე, „იჯარის საგნის“ დაუზიანებლად, თავისი ხარჯით მოახდინოს „იჯარის საგნის“ აღჭურვა ისეთი საგნით, რომელიც მიმართული იქნება

„იჯარის საგნის“ გაუმჯობესებისაკენ.

2.2. „მოიჯარე“ ვალდებულია:

მოიჯარე

მეიჯარე

2.2.1. დროულად გადაიხადოს „იჯარის საგანი“-თ სარგებლობისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა.

2.2.2. გადაიხადოს „იჯარის საგანი“ განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებული ყოველგვარი გადასახადი.

2.2.3. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, მოუაროს „იჯარის საგანი“ და ყოველი ღონე იხმაროს იჯარის საგნის იმ მდგომარეობის შესანარჩუნებლად, რაც მას გააჩნდა მოიჯარესთვის გადაცემის დროს, ხოლო ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას დროულად დაუბრუნოს „მეიჯარე“-ს იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც მისგან მიიღო, „იჯარის საგანი“ ნორმალური ცვეთის მხედველობაში მიღებით.

2.2.4. თავისი მიზეზით „იჯარის საგანი“ სარგებლობაში ხელის შეშლის შემთხვევაში გადაუხადოს „მეიჯარე“-ს ხელშეკრულების მესამე მუხლით განსაზღვრული ქირა.

2.2.5. გადაიხადოს „იჯარის საგანი“ სარგებლობისათვის საჭირო ყოველგვარი კომუნალური მომსახურების გადასახადი, მათ შორის წყლით, ელექტროენერგიით, გაზით, ინტერნეტით, აგრეთვე გადაიხადოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ დაწესებული მოსაკრებელი ტერიტორიის დასუფთავებისათვის;

2.2.6. გაუფრთხილდეს მეიჯარეს მიერ მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ქონებას და დაიცვას მათი ექსპლუატაციის წესები, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების დასრულების შემდეგ დაუბრუნოს მეიჯარეს;

2.2.7. „მეიჯარის“ წინასწარი თანხმობის გარეშე არ გადასცეს მესამე პირებს „იჯარის საგანი“ ქვეიჯარის წესით და არ დაუშვას მესამე პირების მიერ იჯარის საგნის გამოყენება სამეწარმეო საქმიანობისათვის.

2.3. „მეიჯარე“-ს უფლება აქვს:

2.3.1. „იჯარის საგნის“ შემოწმების მიზნით, „მოიჯარის“ თანდასწრებით შევიდეს იჯარით გადაცემული „იჯარის საგნის“ განთავსების ფართში, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს მოიჯარეს შემოწმებამდე 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე.

2.3.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე თავისი ინიციატივით მოშალოს ხელშეკრულება, თუ „მოიჯარე“ „მეიჯარის“ წერილობითი გაფრთხილების მიუხედავად,

„იჯარის საგანს“ მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას.

2.3.3. მოითხოვოს „მოიჯარის საგან“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება.

2.4. „მეიჯარე“ ვალდებულია:

2.4.1. „მოიჯარე“-ს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის, გადასცეს უფლობრივად და ნივთობრივად „იჯარის საგანი“.

მოიჯარე

მეიჯარე

2

3. საიჯარო ქირა და მისი გადახდის წესი

3.1. „იჯარის საგნის“ სარგებლობისათვის განკუთვნილი ყოველთვიური საიჯარო ქირა, რომელიც „მოიჯარე“-მ „მეიჯარე“-ს უნდა გადაუხადოს შეადგენს 950 (ცხრაას ორმოცდაათი) ლარს სამემოსავლო გადასახადის ჩათვლით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.2. ხელშეკრულების 3.1. მუხლით განსაზღვრული საიჯარო გადასახადი, „მოიჯარე“-მ „მეიჯარე“-ს უნდა გადაუხადოს, ყოველი საანგარიშო პერიოდის (თვე) დამთავრებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3. ხელშეკრულების 3.1. მუხლით განსაზღვრული საიჯარო გადასახადის გადახდა წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

4. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მისი მოქმედების ვადა და ვადამდე შეწყვეტა

4.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022

წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. იგი ავტომატურად გრძელდება, თუ მხარეები არ განაცხადებენ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

4.2. ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს:

4.2.1. მხარეთა შეთანხმებით;

4.2.2. „მოიჯარის“ ინიციატივით, თუ „მოიჯარე“ თავისი განზრახვის შესახებ, ხელშეკრულების შეწყვეტამდე ერთი თვით ადრე წერილობით შეატყობინებს „მეიჯარეს“, ამ შემთხვევაში „მოიჯარეს“ არ ეკისრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოიჯარეს მოუწევს ერთჯერადად 3 000 (სამი ათასი) ლარის გადახდა საპირგამტეხლოს სახით.

4.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

4.2.4. კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების შეცვლა

6.1. ხელშეკრულება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მხარეების სრული შეთანხმების შედეგია და ენიჭება უპირატესობა მხარეებს შორის მანამდე არსებულ, როგორც წერილობით, ისე ზეპირ წინადადებებთან, მოლაპარაკებებთან და შეთანხმებებთან შედარებით.

6.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ იგი გაფორმებულია წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ყველა ზეპირი შეთანხმება ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იურიდიული ძალის არმქონეა.

მოიჯარე

მეიჯარე

ქვემოთაღობა

2



7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და რომელიც ხელს უშლის ან აყოვნებს რომელიმე მხარის მიერ მის ვალდებულებათა შესრულებას და რომლის აღკვეთაც სცილდება ამ მხარის გონივრულ შესაძლებლობას და მიუხედავად ამ მხარის მიზანშეწონილი მოქმედებისა, შეუძლებელია იქნეს აღკვეთილი, თავიდან აცილებული ან გამოსწორებული. ასეთი გარემოება შეიძლება

გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, სახელმწიფოს მიერ გამოცემული აქტით და სხვა.

7.2. მხარე, რომელიც აპელირებს ფორს-მაჟორულ გარემოებაზე ვალდებულია აცნობის მეორე მხარეს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის (მათ შორის ასეთი გარემოებების შეწყვეტის) შესახებ მათი დადგომიდან 24 საათის განმავლობაში. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწვეს აღნიშნული ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების ვადის შესაბამისად.

8. სხვა დებულებები

8.1. ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ყველა ის საკითხი რაც დარეგულირებული არ არის ხელშეკრულებით უნდა გადაწყდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკებით შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე განიხილება საქართველოს სასამართლოში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. მხარეებმა ნებისმიერი შეტყობინება უნდა განახორციელონ წერილობით. ასეთი შეტყობინება ითვლება სათანადოდ გაგზავნილად თუ იგი ადრესატს გადასცა კურიერმა, გაგზავნილია დაზღვეული წერილით, ფაქსით ან ელექტრონული ფოსტით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, თუ მეორე მხარე ხუთი დღით ადრე არ შეატყობინებს საკუთარი მისამართის შეცვლის შესახებ.

8.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად.

მხარეთა რეკვიზიტები

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

მოიჯარე

მეიჯარე

ქ. ცაიშვილი

2


„მოიჯარე“

გივი იობიძე  
პ.ნ.60003005492

„მეიჯარე

ფ/პ მერაბი ტყემელიაძე პ/ნ 21001006507

მოიჯარე



მეიჯარე

მ. ცაბუაძე 2

დანართი 3. მერიის წერილი.



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია  
სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო  
ნებართვების სამსახური  
KUTAISI CITY MUNICIPALITY  
SPATIAL PLANNING, MONUMENT PROTECTION AND CONSTRUCTION  
PERMITS OFFICE



წერილის ნომერი: 10-4422262448  
თარიღი: 19/09/2022

ადრესატი: გივი იობიძე  
პირადი ნომერი: 60003005492  
მისამართი: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, გიორგი სააკაძის ქუჩა, 59

ბატონო გივი,

თქვენი N 19/4422262156-44 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ 03.05.28.013 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების პირობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, გაცნობებთ შემდეგს:

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის დასაგეგმად წარმოსადგენია წინასაპროექტო კვლევის დოკუმენტაცია „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-6 მუხლის - „წინასაპროექტო კვლევის საფუძვლები და სახეები“-ს შესაბამისად. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოთხოვნილი ქალაქგეგმარებითი პარამეტრების დადგენის წინაპირობას მხოლოდ აღნიშნული კვლევის დასაბუთება წარმოადგენს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალურ გეგმის კონცეფციის დამუშავების გათვალისწინებით აღნიშნულ ტერიტორია მოიაზრება, როგორც ინდუსტრიული ზონა (იზ) საწარმოო ზონა (იზ-1) ქალაქგეგმარებითი პარამეტრებით: კ1 - საჭიროების მიხედვით, ტექნოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე; კ-2 - საჭიროების მიხედვით, ტექნოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე და კ-3 - 0,2.

ასევე დამატებით მინდა გაცნობოთ, რომ სამეწარმეო ზონა არის ინდუსტრიული ზონის ქვეზონა, სადაც დომინირებს საწარმოო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები.

პატივისცემით,

რუსუდან ჩინალაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



დანართი 4. პასუხები სააგენტოს N21/6346 წერილით გამოგზავნილ შენიშვნებზე

N	შენიშვნა	პასუხი
1	<p>სკრინინგის <u>განცხადების</u> თანახმად, საწარმოში გათვალისწინებულია <u>სასარგებლო წიაღისეულის - ტემენიტისა და კირქვის ქვის ნატეხების გადამუშავება</u> (ცხრილი 2; გვ. 3), ამასთან ტექნოლოგიური პროცესის <u>თავში აღნიშნულია</u>, რომ „<u>ნედლეულად გამოყენებული იქნება მცირე ზომის ტემენიტისა ქვები ან/და ხერხვის დროს მიღებული მცირე ზომის ნატეხები</u>“ (გვ. 22). სკრინინგის <u>განცხადების</u> სხვა <u>თავებში</u> ნედლეულის სახით <u>კირქვის გამოყენება არ არის განხილული</u>, შესაბამისად <u>დაზუსტებას</u> საჭიროებს გათვალისწინებულია თუ <u>არა</u> საწარმოში <u>კირქვის გადამუშავება</u>, ხოლო <u>ასეთის არსებობის შემთხვევაში აღნიშნული საკითხი ასახული უნდა იქნას ტექნოლოგიურ პროცესში დეტალურად</u>;</p>	<p>შენიშვნა მიღებულია. საწარმოში შესაძლებელია კირქვის ღორღის მიღებაც, ამიტომ კირქვის ნედლეული დაემატა ტექნოლოგიურ პროცესებში, დეტალურად .</p>
2	<p>სკრინინგის <u>განცხადებაში</u> არ არის <u>წარმოდგენილი ინფორმაცია</u> საწარმოში მოწყობილი <u>დანადგარის შესახებ</u> (ტიპი, სიმძლავრე), რაც საჭიროებს <u>დაზუსტებას</u>;</p>	<p>შენიშვნა მიღებულია, საწარმოს ტექნოლოგიური დანადგარების შესახებ ინფორმაცია დაემატა სკრინინგის ანგარიშში</p>
3	<p>სკრინინგის <u>განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას</u> ნედლეულის/პროდუქციის <u>ტრანსპორტირებისთვის</u> გამოყენებული <u>გზების და ტრანსპორტირებით გამოწვეული ზემოქმედების შესახებ</u> (დღის განმავლობაში <u>განსახორციელებელი სავარაუდო სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა</u>).</p>	<p>ნედლეულისა და ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული გზებისა და სატრანსპორტო ოპერაციების შესახებ ინფორმაცია დაემატა სკრინინგის განაცხადში.</p>